ამ სახლში ხშირად ნახავდით გამოჩენილ ქართველ მეცნიერს ივანე ჯავახიშვილს, ოპერა „ლაღავის“ ავტორის ცნობილ კომპოზიტორს მ. იოსელიანს-ივანოვს, ზაქარაას პირველ ლიბრეტისტს — პედაგოგ პეტრე მირიანაშვილს, კომპოზიტორებს ნიკო სულხანიშვილს, ია კარგარეთელს, ანდრია ყარაშვილს, მელოტონ ბალანჩივაძეს, დიმიტრი არაკიშვილს, ა. სპენდიაროვს, ვიქტორ დოლიძეს, კოტე მარჯანიშვილს, ჩვენს ძმას დირიჟორ ივანე ფალიაშვილს, დირიჟორ ს. სტოლერმანს, განთქმულ ტენორის მოსინის, ვანო სარაჯიშვილს, სანდრო ინაშვილს, კიპარენკო-დამანსკის, სერუდას, მიხეილ ჯავახიშვილს, ვალერიან ჯუნისას, პროფესორ ანდრია რაზმაძეს, პროფესორ ლუარსაბ ანდრონიკაშვილს და მრავალ სხვა მოღვაწეს, რომლებიც გატაცებით ისმენდნენ ზაქარაას იმპროვიზაციებს, „დაისის“ და სხვა დაუმთავრებელ ნაწარმოებთა ფრაგმენტებს. ამავე ბინაში ზაქარაამ განიცადა დიდი პირადი მწუხარება — პატარა ირაკლის დაკარგვა. შვილის სიკვდილი კომპოზიტორის მოულოდნელ უზებღურებად დაატყდა თავს, — თქვა ნიკომ და კედელზე ჩამოკიდებულ ირაკლის ფერწერულ სურათზე მიგვითითა.

დიდ ხანს ვუცქირეთ ნორჩი ქაბუკის ლამაზ გამომეტყველ სახეს. ჩვენ დავათვალიერეთ კომპოზიტორის მთელი ბინა და მისი ნივთები — წიგნების კარადა, კალმისტარი, კლავირები, ფოტოსურათები, ხელნაწერები, რომლებმაც ცხოვრებად მოგვაგონეს დიდი შემოქმედის განვლილი გზა.

გულისხმირ მასპინძელს მადლობა მოვხსენეთ და ქუჩაში რომ გამოვედით, სახლის ფსაღს მოვაგვლით თვალი. სამწუხაროდ მემორიალური დაფა ვერ ვნახეთ.

დღეს, როცა ზაქარაა ფალიაშვილის ობერები მუსიკალური ხელოვნების თვალმარგალიტებად არის აღიარებული, ნუთუ არ შეიძლება ზაქარაა ფალიაშვილის ბინა სახლ-მუზეუმად გადაეცემა, სადაც თავმოყრილი იქნება ამაჟამად სხვადასხვა ადგილს გაბნეული დიდი კომპოზიტორის ძვირფასი მუსიკალური მემკვიდრეობა, ფოტოსურათები და ნივთები, რომლებიც უკვე რელიკვიებად იქცენ. ისინი ხომ თვალსაჩინოდ დაგვანახებენ იმ დიდ შემოქმედებას, რომელმაც ქართველ ხალხს და არა მარტო ქართველ ხალხს, უცვლადი მუსიკალური შედევრები შესძინა.



სურათებზე: ზეითი — ზ. ფალიაშვილის სამუშაო ოთახის ერთ-ერთი კუთხე. ქვეითი — სახლი, სადაც ცხოვრობდა ზ. ფალიაშვილი

# ზაქარია ფალიაშვილის ოპერების მუსიკალური ინტერპრეტაციის ზოგადი საკითხი

პროფ. ლევან ფალიაშვილი

**რედაქციის შენიშვნა:** ამ წერილში გამოთქმული მოსაზრებანი, რომლებიც ეხება ავტორისეული ჩანაწერისა და ტექსტის დაცვის საკითხს, რედაქციის მართებულად მიიჩნია. ასევე სწორია ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნა, რომლებიც მიმართულია ზ. ფალიაშვილის კლასიკური ოპერების დამახინჯებისა და გაყვლების წინააღმდეგ. მაგრამ როგორ შემთხვევებში ვერ დავითანხმებთ ავტორს. ყველადავთის ცნობილი იყავნ ფალიაშვილის როლი, როგორც ზაქარია ფალიაშვილის ოპერების ინტერპრეტატორისა. არსებითად მან პირველმა მოიყვანა წესრიგში „აბესალომისა“ და „დალის“ მუსიკალური გახსნის საკითხი და კომპოზიტორთან თანამშრომლობით ჩაუყარა საფუძველი მათი შესრულების ტრადიციებს. მაგრამ ხომ არ შეიძლება მის მიერ დადგენილი ყოველი ტემპისა და ნიუანსის დოგმად მიჩნევა ეს ხსენ, უბრალოდ რომ ვთქვათ, დამტკიცება, „დაკონსერვაცია“ გამოიყენებოდა ხელგუნების ყოველი დიდი შეცდომა მუდამ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ მასში ახალი თვისებები იქნეს დანახული და გახსნილი, და ამით კიდევ უფრო სრულად გამოვიჩინეს ავტორისეული ჩანაწერი.

ტროშკისტური წარმართვა ხვდა „აბესალომისა“ და „დალის“ სპექტაკლებს მოსკოვში, კართული ბელეგების 1937 წლის დეკაბრში. ამ წარმართვაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის თბილისის საოპერო თეატრის მაშინდელ მუსიკალურ ხელმძღვანელს, ღირსივრთ ევენი მიქელაძეს, რომელსაც კუმსობრივად მაღალი შეფასებით მიჰყავდა ეს ოპერები. გაიხსენოთ, თუ რაოდენი რომანტიული გზნება და სიციქლოს მჩქეფარება იგრძნობოდა მის სპექტაკლ „დაისში“, ან კიდევ როგორი ეთიკური პათოსი, სიწმინდე და პიეტური ამაღლებულია იყო მისი ხელმძღვანელობით დადგმულ „აბესალომ და ეთერში“. საბედნიეროდ, არსებობს მათი ჩანაწერები, იქნებ, იყოს მათში ცალკეული საყმათო მხარეები, მაგრამ ისინი ხომ ოდნავად ვერ ცვლიან საერთო სურათს, მთლიანი გადაწყვეტის ეფექტს და მეტად მაღალ ხარისხს, ოდნავად ჩრდილს ვერ აყენებენ იმ ვარაუდებს, რომ მიქელაძის შესრულება ახალი ბრწყინვალე ეტაპი იყო ფალიაშვილის ოპერების ინტერპრეტაციაში.



ერილის დაწერის საბაზი ვახდა ის არასასურველი ტრადიცია, რომელიც ზაქარია ფალიაშვილის გარდაცვალების შემდეგ, დამკვიდრდა ჩვენი ღირსივრთებისა და მომღერლების მიერ ოპერა „აბესალომ და ეთერის“ ტემპების ინტერპრეტაციაში.

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტემპს მუსიკალური ნაწარმოებისათვის. არასწორი, ზრუკერ კი დიამეტრულად საწინააღმდეგო ტემპის გამო, ხშირად ნაწარმოები მკარავს თავის ნამდვილ სახეს. უმრავლეს შემთხვევაში ეს გამომდინარეობს მუსიკალური ნაწარმოების იმ თვითმხედური გაგებაში, რასაც ხშირად ამჟღავნებს ხოლმე ზოგიერთი შემსრულებელი, ამო რიტმში, ღირსივრთშიც, უადვილო არ იქნება, თუ აქ მოვითხანთ ზოგიერთი ავტორიტეტის — ღირსივრთების, კომპოზიტორებისა და სხვების აზრებს, რომლებიც ტემპის, სურათის, სიმფონიური და საოპერო ნაწარმოებების შესრულების საკითხს შეეხება.

უწინარეს ყოვლისა, ღირსივრთი მიზნად უნდა დაისახოს — იყოს ავტორის ჩანაწერის მართალი და შეუპოვარი თანმიმდევარი, ე. ი. შეეცადოს, რომ მუსიკალური ნაწარმოების შესრულებით გამოაღვიოს ის, რაც თვით კომპოზიტორის უნდოდა გამოხატა თავის ნაწარმოებში. აი რას ამბობს ცნობილი ღირსივრთი ფელიქს ვინჯარტნერი თავის წიგნში „ღირსივრთის შესახებ“: „რაც უფრო მჭიდროდ გადავხედავთ მისი (ე. ი. ღირსივრთის, — ლ. მ.) პიროვნება კომპოზიტორის პიროვნებას, ვაკვირდება მასთან და მასში გაქრება, მით უფრო მნიშვნელოვანია და სრულყოფილი მისი შესრულება“ და შემდეგ იცემა: „ღირსივრთი მართალი უნდა იყოს, უპირატესი ყოვლისა, შესასრულებელი ნაწარმოების მიმართ, შემდეგ თავის თვისებას, და ბოლოს, ხალხის მიმართ. როდესაც ეს პარტიკულარს ხელში აღიღებს, თავს უნდა შეეკითხოს არა „რა შემიძლია

აქედან გავაკეთო?“ არამედ: „რა უნდოდა გამოხატა კომპოზიტორი?“

ცხადია, ყოველივე ზემოთქმულიდან ის აზრი როდი უნდა გამოვსახოთ, თითქმის ღირსივრთი შესასრულებელი ნაწარმოების დასაწყისიდან დასასრულამდე ბრძალ, კომპოზიციის ტექსტში ჩაუწყვილონდა. ზუსტად ავტორის მითითებებს უნდა მიუყვებოდეს, არც ერთი ნაბიჯით არ ცოცხლობდეს მითითებულ ტემპს და ყველაფერს მკაცრად მტრონომის მიხედვით ასრულებდეს (მით უმეტეს, რომ მაღალი ნაწარმად ხდება, როცა სხვადასხვა რედაქციებში მტრონომის სხვადასხვა მარჯვენებელი გვხვდება, ზოგიერთი ნაწარმოებებში კი სრულებით არ არის), რითაც თავს ინდივიდუალობის გამომჟღავნების შესაძლებლობას ათამებს. სრულებითაც არა, აქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ, ამა თუ იმ რედაქციის არჩევისას, იცოდ ნამდვილი საავტორო ტექსტის მოძებნა.

ვინჯარტნერი წიგნში მენდელსონის „ფინგალის მღვიმის შესრულების შესახებ ამბობს: „ერთხელ მოვიხსენიე მენდელსონის „ფინგალის მღვიმის“ უფერტურა, — ამასთან ერთნაირი სიჩქარით არ შესრულებულა ორი ტაქტიც, ხდება რაღაც ბუნების საწინააღმდეგო რამ. საუცხოო მუსიკა ისე იქნა დამახინჯებული, რომ საესეებით დაკარგა თავისი სახე“.

ცხადია, — განაგრძობს ვინჯარტნერი, — ამ ბიუსის შესრულება არ შეიძლება მტრონომზე მეთითხედვის აყოლებით: შესაძლოა ტემპის მცირე ცვლილება, მაგრამ ამა თუ იმ უნდა დაარწმუნოს ნაწარმოების მთლიანობა, მელოდის ხაზი, რაღაცნაირი მელოდის სწორი გაგება უნდა შეესაბამებოდეს სწორი ტემპი, — როგორც ამბობს ვინჯარი. და განა ყველაზე უფრო მკაცრი აკაცების ღირსი არ არის ის ღირსივრთი, რომელიც, თავისი ახორებული სურვილის გამო, ამხინჯებს იმას, რაც ისე ფაქტურადა გააზრებული და სრულყოფილად გამოხატული დიდი კომპოზი-

ტორის მიერ" ამგვარად, სწორედ კომპოზიტორის ძირითადი ჩანაწერის გამოვლენაში მდგომარეობს ამა თუ იმ მუსიკალური ნაწარმოების შესრულების იდეა.

ღირსი გ. ი. სუისი შეხედულებით: „ღირსი გიორგი კომპოზიტორის კეთილშობილურად განმარტებული უნდა იყოს და არა ბორტოტი კრიტიკოსი, რომელსაც თავისი თავით ავტორზე უფრო დიდ ფიქსაციას უჭირავდა“.

ამიტომ ამა თუ იმ მუსიკალური ნაწარმოების შესრულებისას, პირველ ყოვლისა, საჭიროა მხედველობაში მივიღოთ სტრიქოვი კომპოზიტორისა, რომელიც თავის ნაწარმოებში ნათლად და გარკვევით მიუთითებს ძირითად ტემპზე, ხშირად მოჰყავს მეტრონომის მაჩვენებლები და აღნიშნავს დინამიურ და აუდიორ შტრიხებს.

აი, რას ამბობს რ. ვაგნერი აიხს შესახებ: „არაფერი არ მოქმედებს ისე დამღუღელებად მუსიკალურ ნაწარმოებზე, როგორც ის, თუ ტაქტის ყოველ დამოუკიდებელი თავისი შეხედულებისამებრ შეიტანს ტემპში ფანტასტიურ ცვლილებას. ეს ჩვენს კლასიკურ მუსიკალურ ლიტერატურას ძალზე შეუცვლიდა სახეს“.

ცნობილ საბჭოთა ღირსი გიორგის ნიკ. მაღლკოს ეს აზრი მკაფიოდ აქვს გამოთქმული: „ღირსი გიორგის მთავარი აზრი იმ დიდი და მასშობისათვის სასახისებურად იდენტურ გამოვლენებში მდგომარეობს, რომელსაც შეიძლება შესრულების იდეა ეწოდებოდეს“. ცუდმა შესრულებამ შეიძლება არა მარტო უკონდინარო აღაპირნი შეუღონოს, არამედ მოაძრავს შეაუფლოს ნაცნობი ნაწარმოები“, — ამბობს ვენეზარტეტი თავის წიგნში „ღირსი გიორგის შესახებ“, და შემდეგ ვგანაგრძობს: „საუცხოო ნაწარმოების საუცხოო შესრულება მისი (ე. ი. ღირსი გიორგის, ლ. ფ.) უმაღლესი ტროუბე უნდა იყოს. კომპოზიტორის წარმატება მისი (ღირსი გიორგის, ლ. ფ.) წარმატება იქნება“.

ამ შესავალში მე სრულებითაც არ შეინდა მხედველობაში რამიმ ახალი აზრები გამომეთქვა, ან ახალი მიზნები დამესახა. ეს ყველაფერი ცნობილია ყოველი შემსრულებლისათვის, აკრთვე ღირსი გიორგისათვისაც. მე მინდოდა მხოლოდ უზარალოდ კიდევ ერთხელ შემეხსენებინა ზოგიერთი შემსრულებლის მიერ ამა თუ იმ უმაღლესი ნაწარმოება არასწორი გაგება, რაც ასე ნათლად გამოხატონდა ოპერების „აქესალომ და ეთერის“ და ნაწილობრივ „დაიანის“ შესრულებაში, მათი ავტორის გარდაცვალების შემდეგ.



ოპერა „აქესალომ და ეთერის“, რომელიც პირველად 1919 წლის 21 თებერვალს დაიდგა ზუკ. ფალიაშვილის პირადი ხელმძღვანელობითა და ღირსი გიორგის მიერ, პირველსავე წლებში განიცადა ბევრი ცვლილება, ასე მაგალითად: ამოღებულ იქნა მთელი მე-3 მოქმედება — ბულიარ ემზაის სცენა (ოპერა 5 მოქმედებანი იყო), ცვლილება და გადაადგილება განიცადეს ცალკეულმა ნომრებმა: მურმანის არამ „ამომავალმა მუსს სწოვნის“... მარინის არია „შუქერ-არასკვლავი“ ამოღებულ იქნა ოპერიდან, როგორც მოცემული განწყობილების (აქესალომ და ეთერის პირველისთვის) შეუფერებელი ნომერი (შემდგომში ავტორმა ეს არია ოპერა „დაიანის“ გამოყენა); ამოღებულ იქნა მესამე მოქმედებიდან ოპერა „ლატავრანაში“ გამოყენებული გუნდი „ცხრა-ცხრა ვეკვართ“; იმავე მესამე მოქმედებიდან ამოღებულია და „დაიანის“ გადატანილი საორკესტრო მინაკვეთი (მაღალხის მოკალის მომენტში) და ა. შ. მაგარამ ყველა ეს ცვლილება შეტანილი იქნა ავტორის თანხმობითა და მისი უშუალო მონაწილეობით პირველსავე წელიწადს ამ ოპერას თვითონ ავტორის ღირსი გიორგისა და რუსეთიდან ღირსი გი. ფალიაშვილის დახმარებით შემდეგ კი, ოპერა „აქესალომ და ეთერის“ კვლავ განიცადა ზოგიერთი ცვლილება კუბიურების, ტემპისა და ზოგიერთი ნოვანის მხრივ. ამასთან ეს ცვლილებებიც ორი ძის — ივანე და ზაქარია ფალიაშვილების მჭიდრო მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში ხდებოდა.


ზაქარია, რომელიც კარგად გრძობდა თავისი უფრო ძმის ღირსი გიორგი ხიჭის მიერ ძალს, სრულიად შეგნებულად მიდიდა ბევრ დამთმობზე ოპერა „აქესალომ და ეთერის“ შესრულების საკითხში, როგორც ტემპების, ისე მრავალი სხვა კითხვების მხრივ. ავგვარად, ამ ოპერის შესრულების საბოლოო, ყოველმხრივი (თითქმის უსახავს ავტორი) რედაქცია, როგორც უკვე აღვნიშნე, მოადინეს ძმებმა ფალიაშვილებმა — დიდა მუსიკოსებმა — ღირსი გიორგმა და კომპოზიტორმა. მაი ბიერ და დავებლობა რედაქციამ უზრუნველყო ამ ოპერის მაღალმხატვრული შესრულება, რომელიც 1922 წლიდან 1934 წლამდე, ივ. ფალიაშვილის გარდაცვალებამდე, გრძელდებოდა. მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ ოპერა „აქესალომ და ეთერის“ (და „მედიც“ და „დაიანის“) შეტანილი იქნა სხვადასხვაგვარი ცვლილება, რომელმაც ბოლოსდაბოლოს მის ძვარად განმარტებამდე და ცალკეული ნაწილების სრულ დაძახინებამდე მიგვიყვანა, ათი დაზარადა კომპოზიტორის მუღი ჩანაწერი.

რთველაც ოპერა „აქესალომ და ეთერის“ სწორ, მყარ ტემპებზე ვლანაშვილი (მის ძირითად გამოხატულებას), იმ მხედველობაში მაქვს ამ ოპერის შესრულება ივანე ფალიაშვილის მიერ, რომელიც ამ ოპერის უღვაღედ საუკეთესო განმარტებელი იყო. თბილისის უმაღლესი ღირსი გიორგის მიერ, ცხადია, არა დეტალურად, არამედ ძირითად მომენტებში, არ იქნებოდა უღმეტე.

მე პრეტენზიას არ ვცხადებ საუკეთესო მესხიერებაზე. მაგარამ ისე ხშირად მომისმენია „აქესალომ და დაიანის“ ივ. ფალიაშვილის ინტერპრეტაციით, რომ ამ ოპერებთან ჩემს გონებაში ნათლად აღიმეცა ბევრი ნაწყვეტის ძირითად ტემპები და ნოვანები.

ივ. ფალიაშვილის გარდაცვალების შემდეგ პირველი ცვლილებები უშუალოდ „აქესალომ და ეთერის“, აგრეთვე მის შესრულებაში, შეიტანა ევგენი მიქელაძემ.

ე. მიქელაძემ ჩვენ ვიცნობთ, როგორც დიდად ნიჭიერ ღირსი გიორგის, რომელმაც თავისი ხანმოკლე ღირსი გიორგის პრაქტიკის მანძილზე საოპერო და სიმფონიური ნაწარმოებების შესრულების ბევრი მაღალმხატვრული ხიზმები შეიტანა. როდესაც მან ოპერა „აქესალომ და ეთერის“ ღირსი გიორგის ბელი მოკლდა, საჭიროდ მიიჩნია ზოგიერთი ცვლილების შეტანა ამ ოპერაში, როგორც ცალკეული ნომრებისა და ნაწყვეტების შეცვლების, ისე თავისუფალი ტემპების შეტანის მხრივ. ე. მიქელაძემ, რომელიც ამ ოპერას ღირსი გიორგის თვლიდა, პარტიტურის შესწორებასაც კი მიმართა. საილუსტრაციად მოვიტანე ოპერა „აქესალომ და ეთერის“ მინტაქსი, რომელიც შესრულდა მოსკოვში 1937 წელს ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეპარტამენტის ევგენი მიქელაძის და თბილისის საოპერო თეატრის კოლექტივის მიერ. ძირითადი ეს შესრულება არ იყო ცუდი, მაგარამ შესრულების ცალკეული მომენტები არ შესაბამისობა და ნაწარმოების სტილთან და ხასიათს. მაგალითად, „შენ ხარ დიდი, დიდებულად“ — სიტყვაზე „დიდებულად“ ეთერი რატომღაც ძლიერ ritenuto-ს კეთდება, რაც წყვეტდა ტექსტსაც და მუსიკალურ ფრაზასაც. ავტორის ეს შეწყვეტა პარტიტურაში არ ჰქონია. აქესალომში პირველი სურათის სიტყვებში „თუ გული ჩემზე გექნება“ ჰქონდა არაღიარებელი ძლიერი გაზიანებრება. საზეიმო საქორწილო გუნდი პირველ მოქმედებიდან „ქართული ხელოვნების ხმალს იკარ“ მსრულებლობა ჩქარ ტემპში, რაც შედეგში არასრულყოფილ ტრადიციად იქცა სხვა ღირსი გიორგის პრაქტიკაში. ახლაც ეს გუნდი სრულდება უფრო სწრაფად, ვიდრე ეს საჭიროა. მესამე მოქმედების დასაწყისი „ვეფხვი ბელს“ საორკესტრო შესავალი თვით არამდე ნელი ტემპით შესრულდა. აქესალომის არიის პირველი ტეპა მალან ნელა ათი მომდღერა, სიტყვაში „პა ვის ვინდათ ქალი ეთერი“, აქესალომ (და „დიდებულად“) მღერობდა მლიან ნელა და ამასთან არა თანაბრად. მეოთხე მოქმედებაში აქესალომისა და მურმანის დუეტში — „მითხარ-მი-





კ. უარაშვილი

ზღვის ნაპირზე

თანა“ სიტყვეში „შენც ხომ იცი ბროლის ციხე“, მურ-  
თან ნაცვლად თანაბარი რიტმისა, იძლეოდა რიტმს ტრი-  
ოლოში, ქნადა რა ამით, კეთილშობილებით სასუქ მელ-  
ლის წყარო ხასიათის ნაცვლად, რაღაც ნელ ტემპში  
შესრულებულ ტრანსტელას მკვავს მელილისა (მურმანს  
მერისა ე. იხაწვილი) ძალიან ხელა შესრულდა აგრეთვე  
აპესლომის ფრაზა: „წადი, უმტარო, დედა!“, მაგრამ  
შემდეგში დირიჟორებმა ეს ფრაზა საბეჭდო შენაწილს კი-  
დედ, რაც არაერთი არ არის გამართლებული. დასაბრუნ-  
შეშვებულში მიქელაძის ტემპები რაღაცნაირად ეთანხმება  
ეს: ფალიაშვილი ტემპებს!

ყოველგვარ ზემოთქმულს შეიძლება და სრულებით არ  
შეგნებოთ, რადგანაც ეს უკვე განვლილი ამბავია და  
ამაზთან შესაძლოა, რომ ექვ. მიქელაძე, როგორც მეტად  
ნიჭიერი არაბისტული პიროვნება, ამ შემთხვევაში თავისი  
მხატვრული ალიოთი ხელმძღვანელობდა, მაგრამ მე ეს  
მივტივჩავ იმიტომ, რომ მიქელაძის შემდეგ დირიჟორებმა  
იპყრა „აპესლომ და ეთერის“ (და შემდეგ „დაისისა“) მუსი-  
კის სრულება მიიყვანეს მათ მნიშვნელოვან დამაინტერესებამ-  
დე საერთო ტრანსკრიპციის მხრივ; შეიტანეს რა კიდევ ზო-  
გიერთი თვითნებური ცვლილება, ამით დაამკვიდრეს,  
როგორც მე უკვე აღვნიშნე, არასასურველი ტრადიცია,  
რომელიც დღემდე გრძელდება შ. ფალიაშვილის სახელო-  
ის თილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში.

შემდგომ წლებში სხვა დირიჟორების შესრულებით  
რამდენჯერმე მოვისმინე „აპესლომ და ეთერი“ და ყო-  
ველთვის წაყაწყლი მის ასევე არასასურველ ინტერპრე-  
ტაციას. არასწორ ტემპებს ემატებოდა დირიჟორების მიერ,  
შემოღებული თვითნებური ნიუანსები, რომელთა გამართ-  
ლება არ შეიძლება არც იდეური და არც ესთეტიკური  
თავსაზრისით.

საქ მაგალიდად დირიჟორი შ. აზმაიფარაშვილი  
გუნდში „აბიო მეფეს“ As-moll-ად E-dur-ში მოღვლა-  
ლის დროს fis-a-h-dis-ის აკორდზე ხანგრძლივ ფერმა-  
ტას აკეთებდა, რაც ერთის მხრივ უაღვირვად აფერხებ-  
და მუსიკალური აზრის ნაკადს, ხოლო მეორეს მხრივ სრუ-  
ლებით არ შეესაბამებოდა იმ მოღვლენილ მუღვლაცის  
სახითა, რომელიც აქ არის მოქმედში.

თუკრა „აპესლომ და ეთერის“ შესრულება თილისის  
კონსერვატორიასთან არსებული საოპერო სტუდიის ძალებ-  
შით, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობს და დი-  
რიჟორებს გრიგოლ კილაძე, ძლიერ მერყეობს შესრულე-  
ნის უმღვარადობის მხრივ მისი პირველი დღემდინა  
(6-7 წლის წინაა) დღემდე (მანამდე კ. კილაძე დირიჟორ-  
ობდა ამ ოპერას თილისის საოპერო თეატრშიც). ზოგი-  
ერთი ძირითადი ტემპი კ. კილაძის მიერ სწორადაა ძვე-  
ბული, მაგრამ უმარაველი მთავანი ცვლაც სცოდავს ძლე-  
ლი აჩქარებით ან შენელებით. ავიღოთ, მისი ერთ-ერთი  
სექტეტალი (1956 წლის 25/IV) მივითვლით მისი შეს-  
რულების რიგ მიხედვით მხარებებზე. შესავალი ზეგარ-  
დურ სწრაფად იქნა შესრულებული, ვიდრე ეს საჭირო  
ყო (მრავალი წლის მანძილზე კილაძეს მისყავდა მესა-  
ვლი, განსაკუთრებით, ქორალური დასაწყისი გადაჭარ-  
ბებული ნოტიოშობილი). მურმანის არია იმდენად  
ერთი ამისონიუქი, ყოველგვარი გრძობისა და გამომ-  
სახილოების გარეშე. შედარებით სწრაფ ტემპში. უხვიანი  
სადღვალავია, რომელიც ვიღაცამ ჩააბნა მურმანის არიის  
წინ მიერე სურათზე გადასვლისას. აგრეთვე მურმანის  
უკანასკნელ ფრაზაზე გადასვლისას: „წყალ-წისქვილ ქვი-  
მას“. თუ პირველი მოღვლაცია ცოცხად თუ ზერადა მისა-  
ღვლად ვედრს, ვერაფრით ვერ დაეკონანხებით მეორე მო-  
ღვლაცის, რომელიც თავისი სიმკვნერით და ყოვლად  
გაუმართლებელი გადასვლით — A-dur-ად C-dur-ში,  
ზომოდ გაოცებს იქნავე მსმენელში. აქ ვაკავრდება  
მოყარტის სიტყვები: „მოღვლაცია თითქმის მოირეული“.

ამ ორი მოღვლაციიდან შეიძლება იპოვიდეს ამოგ-  
ველი და როცა დამთარღვდება აპესლომისა და ეთერის  
დუეტს, ოდნავი შესვენების შემდეგ დავეწყო პირდაპირ

მურმანის არია. თუ ეს მოღვლაცია მათ დასჭირდათ რო-  
გორც კავშირი კუბურებს შორის, — ეს არ გამოდგება  
გასამართლებელ საბუთად. განა სხვა ოპერებში არ კეთ-  
დება კუბურები მუსიკალური ტექსტის შეცვლისა და რა-  
მეც გადასვლების ჩარევის გარეშე ამ შეთხვევამაც შე-  
საძლებელი იყო წარმოებულ კუბურებში და გადაღო-  
ლებშივე გვერდ აეგოლ უკეთილ დაახებულად ცლილ-  
ბებისათვის. ყველაზე უკეთესი კი იქნებოდა არავითარი  
გადასვლისა და კუბურები არ გაეკეთებინათ. შემდეგ  
იურიის არია „დღიხაცვალი“ ძალიან სწრაფად; ვალის  
ტემპით შესრულად, გულზე „აბიო მეფეს“ დასაწყისს  
3/4 ნაწილი აღებულ იქნა იმდენად ნელ ტემპში, რომ ამ  
მომენტს სადღესასწაულო სახე დავუყავ. „ქართველო,  
ხელი ხმალს იკარ“ დაუწყებულ კულისებიდან, მისი ყო-  
ველი განმეორებისას, სრულდებოდა სწრაფი ტემპით.  
აპესლომის არია ჩქარ ტემპში შესრულდა, ხოლო მეორე  
კუბურების ბოლოს მიმართებად მობრძანარ „გაქანა“  
გუნდში „რა დიდ დავიგდა“, მურმანის სიტყვის „წყვეა-  
სა“-ს შემდეგ ტაქტში 3/4 წინ გრ. კილაძე ამ სამ აკორდ-  
ზე აკეთებს ძლიერ შენელებას, შემდეგ 3/4 გადასვლისას  
წყვეტის ფრაზას (ვერცხლური პაუსა), რაც სასეხელის  
ზედგება, არაერთი არ არის გამართლებული და მხო-  
ლოდ არღვევს ფრაზებს შორის ლოკურე კავშირს.

დაუბრუნებელი ისევე ვინეგარტნერს, რომელიც გულის-  
ტკივილით ამბობს: „საიდანაა ეს მისწრაფება შექმნას ნა-  
წარმოებიდან მისკან სრულიად განსხვავებული რამ? რა-  
ტომ უფროთიან ასე ერთიდაივე ტემპის ხანგრძლივ შე-  
ნარჩუნება? საიდან არის ისეთი ელვერის შეტანის სურ-  
ვილი, რაც აზრადავს ამ ჰქონდა კომპოზიტორს?“

საუთ მისწრაფებას კილაძის შესრულებაში გვხვავთ  
„აპესლომ და ეთერის“ სხვა მომენტებზე, კერძოდ, ამავე  
მოქმედებაში აპესლომის სიტყვის „მეც“ შემდეგ, ორ-  
კესტრულად ფრაზას, ავტორის მიერ შენელებული allegro  
non troppo-ს ტემპში კილაძე იყვებს adagio-ს ტემპში  
და ეს ძლიერი შენელება სამი ტაქტის მანძილზე გრძელ-  
დება. შემდეგ დირიჟორი აჩქარებს, რაც ძალიან არაბუ-  
ლებს და არამხატვრული გამოდის (ავტორს არა აქვს  
ეს ნიუანსი). მესამე მოქმედების უკანასკნელი გუნდი:  
„ეკების ღმერთის“ ადგებულ იქნა ძალიან ჩქარ ტემპში,  
მითხვე მოქმედებაში აპესლომის სიტყვეზე დღის მი-  
მართ „წადი, უმტარო, დედა!“, დადგენილი ტრადიციის  
მიხედვით, ადგებულა ძალიან ნელი ტემპი. ამის მომდევ-  
ნო იურიის არია და სათელას დუეტი, ასევე უკანასკნელი დუ-  
ეტი „წამყამსა და წამყამს მუა“ მეტად აჩქარებულად  
ვედრდა, რაც არ შეესაბამებოდა კომპოზიტორის მიერ მი-  
თითებულ ტემპებს. თუკრა „აპესლომ და ეთერის“ შეს-  
რულებაში ყველა დამაინტერესებელი დავიკრვინდა მისი უკა-  
ნასკნელი დღემდინა, რომელიც 1953 წელს განხორციელ-  
და შ. ფალიაშვილის სახელობის საოპერო თეატრში სა-  
კუთარი ინტერპრეტაციით სექტეტალი დაღვა რეჟისორმა  
ი. თუმანიშვილმა, რომელმაც უმოწყალოდ დააქოცვაცა  
ოპერა, დაწამყვარ იგი მ სურათად (?!). ასევე გადაჭარბი  
შეიძლება ითქვას, უკერძონიოდ და ყოვლად გაუმართლე-  
ბელია ოპერის სიტყვიერი ტექსტის საქმილდ ხშირი  
ცლის ფაქტი, რომელიც პოეტებს აკადემიკოსმა იოსებ  
გრიშაშვილმა მოხადინა. აღნიშნულ დადგამში ოპერის  
დირიჟორი ი. დიმიტრიადი, არ შეეხებოდა მის ყველა  
სექტეტალს, დაწყებულს 1953 წლიდან, მიიყვანა მხო-  
ლოდ ერთ მთავარს — 1955 წლის 13 დეკემბრის სექ-  
ტალს ი. დიმიტრიადის დირიჟორებით. ოპერის შესვა-  
ლად და დასაწყისის გუნდი. აფთანდოლ გადინადირა“ შეს-  
რულებულ იქნა ჩქარ ტემპში, მაშინ, როდესაც ავტორის  
მიითვებოთ, საჭირო იყო ზერადა უფრო ნელა, ოპერის  
შესავალი რვა თვალზე ზერადა წასულებული და ვაცილებით  
ნელ ტემპში. რაც შეეხება აპესლომ და ეთერის დუეტს  
პირველ სურათში, ფრაზა „შენ ხარ დიდი, დიდებული“  
ისევე შენელებული იქნა. მეორე მოქმედების გუნდი „ქარ-  
თველო, ხელი ხმალს იკარ“ ისევე ჩქარი ტემპით შესრულ-

და, ეს ცუდად დადგენილი ტრადიციის მიხედვით მაშინ, როცა იგი უნდა შესრულდეს გაცილებით უფრო ნელი ტემპით (Maestoso), განსაკუთრებით მთავარი თემის მეორედ და მესამედ გატარებისას, რათა ხაზი გაესვას მოცემული მუსიკის სადღესასწაულო და საზეიმო ხასიათს. გუბოი „ჩაკერული“ ყოველმხრივ სუსტად იქნა შესრულებული; მღეროდნენ სულ ჩ-ზე, რის გამოც „ჩაკერული“ ხაცვ-ლად ნაძველი ღრიალი გამოვიდა.

მესამე მოქმედების შემადარწმუნებელი გუნდი „რა დღე დაკვიდა“ უნდა შესრულდეს გაცილებით ნელა, ვიდრე ეს ლ. დომიტრიადიმ გაკეთდა. მეოთხე მოქმედებაში ისევ ხომარების მთლიან რიგი — თორისა და ნათლას დუეტი, დუეტი „მითხარ, მითხარ“, დუეტი „წაშწამა და წაშწამს“ „უა“ ჩქარ ტემპში იქნა შესრულებული, ხოლო აბესალიძის ფრაზა: „წაი, უშტარო ღედაო“ ისევ ძალიან ნელი ტემპით შესრულდა, რაც არაფრით არ იყო გამართლებული.

„აბესალიძე და თორის“ ერთადერთი სწორი ინტერპრეტაცია, რომელიც თუ მთლიანად არა, მნიშვნელოვნად მაინც უახლოვდება ივანე ფალიაშვილისას, მოკვდა დი-ჟორმა ა. შ. მელიქ-ფაშაევს, რომლის სპექტაკლი ვნახე 1946 წელს მსოფლიოში, დიდი თეატრის დადგმაში. მელიქ-ფაშაევმა შესწლო ჩასწვდომიდა ამ ოპერის მუსიკის აზრსა და ხასიათს, ამასთან ბევრ შემთხვევაში დაეცვა ივანე ფალიაშვილის ინტერპრეტაცია, რომლის შესრულება მას არაერთხელ მოუსმენია.

ასე იყო 1946 წელს. ამის შემდეგ მე არ მიხსენებია ეს ოპერა მელიქ-ფაშაევის შესრულებით. დიდ თეატრში მისი დადგმა შემდგომი ბედი, სანწუხაროდ, უცნობია.

აქ მარცხეული იქნება აგრეთვე ოპერა „დაისის“ ზოგიერთი ადგილის ტემპებს შევნიშნავ, რომლებსაც დირიჟორები ისე ამხინჯებენ და ისე ცვიან, რომ ძნელად საცნობი ხდება. მაგონდება ვეინგარტნერის სიტყვები (იხ. მისი წიგნი „დირიჟორობის შესახებ“): „ყველაზე უფრო ნელი ტემპი არ უნდა იყოს იმდენად ნელი, რომ მგლოდია ძნელად საცნობი ვახდეს, და არცერთი ჩქარი — იმდენად ჩქარი, რომ მისი გაგება შეუძლებელი შეიქნეს“.

საილუსტრაციოდ მოვიყვან ოპერა „დაისის“ შესრულებას, რომელიც მე ბოლო დროს მოვისმინე ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრში 1955 წლის 14 დეკემბერს და მირცხულავას დირიჟორობით. ივანე და ზაქარია ფალიაშვილების სიკვდილის შემდეგ, ამ თეატრში დამკვიდრებულმა ტემპების უკიდურესი აჩქარების ან შენელების არასასურველმა ტრადიციამ იმ საღამოსაც იჩინა თავი.

აქ მე შეგვირდები ორ-სამ მომენტზე. მალხაზის ხევილილის წინა არია „გმორღები, ტურფავ“ შესავალში და უკანასკნელ მოქმედებაში მნიშვნელოვნად აჩქარებული ტემპით იქნა შესრულებული, რის გამოც საცნობი დაიკარგა მოცემული მონაკვეთის გულწრფელი ლირიკული ხასიათი, ხოლო ვალტორებისა და ტრომბონების კონტრაბუფტი თემის მეორედ გატარებისას, რომელსაც ესოდენ დიდი დაზარებლობა და ემოციურობა შეაქვს, სავსებით იჩქარება ჩქარი ტემპის აღების გამო. პირველ მოქმედებაში კი, პირიქით, მაროს და ნანოს დასაწყისი დუეტი ძალიან ნელა აიღეს, ხოლო ცანგალას კუბულტეზი „შარგო“ და მისი მომდევნო ნანოს პასუხები შეუწყნარებლად ნელა შესრულდა. აქ ისევ ვგვაგონდება ვეინგარტნერის სიტყვები: „ვაშინურების სურვილი (დირიჟორები ლ. ფ.) უფრო ძალიანია, ვიდრე „პარეკის“ სურვილი, მაგრამ თუ კი „გარეკა“ დიწვეს, უკვე მირცხვენ ისე გულმოდგინედ, რომ შთაბეჭდილება საბრალო მუსიკისაგან თითქმის ისეთივე რჩება, როგორც ჩქარი მატარებელით მიმავალ მოგზაურს რჩება იმ ადგილებისაგან, რომლებსაც მატარებელი ჩაუქროლებს ხოლმე“.

ეს სიტყვები ზედამოჭრილია და მირცხულავას მიერ შესრულებულ გუნდზე „მტერი ბარში“, ამ გულშიჩამწვიდომ ღრმად მუსიკალური გუნდზე, რომელიც იმ საღამოს (და ყოველთვის) სრულდებოდა წარმოდგენილად ჩქარი ტემპით, თითქმის საპირისპიროდ უფრო სწრაფად, ვიდრე ეს პარტიტურაშია მითითებული. აჩქარებულად ქვდრდა მეორე მოქმედების უკანასკნელი გუნდიც — ქორალი, რის გამოც დაიკარგა მთელი კეთილშობილება და პათოსი, რითაც ეს ღრმად ემოციური გუნდია გაკლებული.

ოპერის „აბესალიძის“ და „დაისის“ შესრულების ამ ოპერტიკული მიმოხილვის დასასრულს, მინდა მოგიყვანო ბერლიოზის სიტყვები (იხ. მისი წიგნი „ორკესტრის დირიჟორი“): „დირიჟორები მუდამ მოითხოვენ დინამიურ ელფერა შეცვლას მხოლოდ იმიტომ, რომ მათ (დირიჟორებს) ან არ გააჩნიათ მუსიკალური ალღი, ან, უბრალოდ, ზედმეტ გულმოდგინებას ატყავენებენ. ასეთ შემთხვევაში უბრალო ელ ფ ე რ ი იქცევა ლაქად, ხოლო აქცენტები ჩაივლიან; კომპოზიტორის გეგმა დაჩეხილი და დარღვეული გამოდის. სა ყარავი არ უნდა იყოს ასეთი დირიჟორის მხატვრული განზრახვა, ის მაინც მოვაკონენებს იგავარაიას დათვის, რომელმაც გულმოდგინე მოფერებით მოკლა თავისი პატრონი“.

საქ. სსრ ჩხოლონისის ოპსისტრატომა მოლოაში. სახლონისი პრემიის ლაურეატი, გრიგოლ კილაძე აბესალიძე და თორის“ დირიჟორობის დროს იმღლისის საოპერო სტუდილაში.



# ზაქარია ფალიაშვილის უცნობი წერილები



ართული საოპერო ხელოვნების გენიალურმა ფუძემდებელმა და ქართული მუსიკალური კულტურის დიდმა მოღვაწემ ზაქარია აქტიურად შეაღწა ფალაშვილმა უშაღლესი მუსიკალური განათლება მოსკოვის კონსერვატორიაში მიიღო — ქართველთა შორის წერაკითხვის გაავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სისტემატური დახმარებითა და ხელშეწყობით.

ზაქარია ფალიაშვილი ამ საზოგადოების გამგეობისაგან ყოველთვიურად ღებულობდა 20 მან., ხოლო სათვადანაწარმო გინაზიის კომპეტენსიასგან 10 მან. სულ 30 მან., 1900 წ. ივნისიდან კონსერვატორიის დამთავრებამდე.

შეიძლება ითქვას, რომ ამ სტიპენდიის გარეშე ზაქარია ფალიაშვილს გაუჭირდებოდა მიეღო უშაღლესი მუსიკალური განათლება, ხოლო ასეთი განათლების გარეშე, ცხადია, იგი ვერ გახდებოდა ქართული პროფესიული მუსიკის ოსტატი და ქართული საოპერო ხელოვნების ფუძემდებელი.

ქართველთა შორის წერაკითხვის გაავრცელებელი საზოგადოება ზაქარია ფალიაშვილს სისტემატურ დახმარებას უწყვეტად მაშინაც, როცა იგი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში შეცნობილი მიზნით მოგზაურობდა და ქართული ხალხური სიმღერების შეკრება-ჩაწერას აწარმოებდა.

ზაქარია ფალიაშვილის შესახებ გამოქვეყნებულ ბიოლოგიკურად იღვწის დღემდე ეს მხარე სათანადოდ არ არის გაშუქებული და დაფასებული. ამ მიზნით ქვემოთ ვაქვეყნებთ ზაქარია ფალიაშვილის წერილებს — ქართველთა შორის წერაკითხვის გაავრცელებელი საზოგადოებისადმი და მისი ხელმძღვანელებისადმი.

## წერილები ნ. 5. ცხევედასიხადმი<sup>1</sup>

1  
ფრიადა პატრიცეველი ნიკოლოზ ზებელისძეს!  
ამ ზაფხულს, თუ შვილობილ ენა, მინდა იმერეთ-სამეგრელოში და რამდენიმე ხნით ქართლ-სამხეთში (ე) შევხვედეთ ქართული ხმების მოსაკრებელად. ამის შესახებ მე თქვენ მოგახსენებ თვითონ, თუ გახსოვთ, თბილისის სადავროზე (ჯიხთარით), უფრონორავოდ სახალხო ხმების ჩაწერა შეუძლებელი არის მთქვე. თქვენც მიიხაროთ, თხოვნა გამოგზავნე მოსკოვიდან საზოგადოების სახელწოდებით, რომ საზოგადოებამ თავისი მხრით შეიძინოს პატარა ფონოგრაფი ქართული ხმების ჩასაწერათ. მე ამის თაობაზე აქ მოველაპარაკე ჩვენი კონსერვატორიის რამდენიმე პროფესორსა, რომელთაც, რასაკვირველია, კარგად ესმოთ საქმე, ისინიც დამეთანხმნენ, რომ ფონოგრაფი აუცილებლად საჭიროა, რომ სახალხო სიმღერები ნორტზედ გადაღებული იქნას ნამდვილად და შეუცვლად. ამის კარგად მე აქ მოველაპარაკე ჩვენს პატრიცეველ პროფესორს ბ. ხანაძეს, რომელიც აქ ეთნოგრაფიული საზოგადოების (წევრია), და იმანაც მიიხარა, რომ იმის გარდა, რომ ფონოგრაფის საშუალებით (ჩაწერილი ხმები) შეიძლება აწერდეს და შეუცვლადი მანერით, ამის გარდა ამას აქვს ნამდვილი ეთნოგრაფიული მნიშვნელობა. ესაა რუსეთში სულ ერთთავად ფონოგრაფის საშუალებით იჭერენ ხოლმე სახალხო სიმღერებს, (სამოსილი მთელი „კომინისა“ არის შემდგარი. გზავნიან მუსიკოსებს სოფლებში და სხვები იღებენ სახალხო ხმებსა ფონოგრაფის საშუალებით, მით მომეტებული, რომ იქნა ფონოგრაფი აქ ძალიან იაფი არის, ქარგი ფონოგრაფის მანერის ნი 20 მანეთი; „ვალკები“ თითო ერთი მანეთი ღირს, ესე იგი, მთელი ფონოგრაფი, ძალიან დიდი, დაჯდეს 100 მანეთი.

როგორც მკითხველი დაინახავს, ეს წერილები ყოველმხრივ სინტერესო და საგულსნაშო მასალას შეიცავს ზაქარია ფალიაშვილის ბიოგრაფიისათვის. ისინი ერთი მხრით იძლევიან მნიშვნელოვან ინფორმაციას ზაქარია ფალიაშვილის მოღვაწეობის შესახებ, ცნობენ მხრებ აშუქებენ ქართული მუსიკალური კულტურის ისეთ საყურადღებო საკითხებს, როგორიც არის საქართველოს სხვადასხვა მხარეში ხალხური სიმღერების შეკრება, ქართველთა ხალხური სიმღერებისა და მუსიკოსების მიერ შედგენილი მუსიკალური ნაწარმოების გამოცემა და სხვ.

წერილები ამოღებულია საქართველოს სსრ ცენტრალური არქივის „ქართველთა შორის წერაკითხვის გაავრცელებელი საზოგადოების“ ფონდიდან და ქვეყნდება ქრონოლოგიური წესის მიხედვით.

საჭიროა აღინიშნოს, რომ „საზოგადოება თავისი სახმების გასაძიებლად ქართულ კონცერტებს მართავდა. 1899 წელს საზოგადოების გამგეობამ ამ მიზნით გაუშვარაფეს სეირნობა-კონცერტი. გამგეობას ერთხმად დაუდგენია, რომ ზაქარია ფალიაშვილს წერილობით მადლობა გამოეცხადოს კონცერტში მონაწილეობისათვის და ქართული მომღერალთა გუნდის ბრწყინვალე მომზადებისათვის. ასეთ კონცერტებში ზაქარია ფალიაშვილი ყოველთვის უსასყიდლოდ, სიყვარულით და დიდი ხალხით მონაწილეობდა.

ზაქარია ფალიაშვილის წერილები იბეჭდება შემოკლებით და მცირეოდენი ორთოგრაფიული ცვლილებით.

წ. კიკნაძე

ეს ფული დიდი არ არის და ქართულ ხმებს კი უშველება... — მელანდ შეუცვლად იქნებოდა ჩაწერა...

პროფესორი ბ. ხანაძეს მივუხმობ ვწერთ... ფონოგრაფის შესახებ. კიდევ მინდა მოგახსენოთ და დავარწმუნოთ, რომ (რამდენად) კარგი მუსიკოსი არ უნდა იყოს, ნორტზე ჩაწერას, მომეტებულად, ზვენი ქართული ხმებისა, ვერ მოახერხებს ისე, როგორც სწორად ხალხი მღერის და თუ ჩასწერის შეუცვლად, ამისათვის მეტათ დიდი ღრთა საჭიროა...

დავემები თქვენი ზაქ. ფალიაშვილი  
ქ. მოსკოვი 6/4-1901 წ.  
საქ. ცსსა, ფ. 481, სთქ. 799, ფურ. 29-30

11  
პატრიცეველი ნიკოლოზ ზებელისძეს!  
...ვისრულდებოდა თქვენს უმართლობასა და სიკეთეს. ჩემს ამბავს თუ იცითათ, უნდა მოგახსენოთ, რომ ცოცხამ ძალიან წაღო. ენებისთვის აქეთ, ესე იგი, ვერ თითქმის შეიძინე თვი არის, რაც... შეუძლებელი მაქვს, და ვერას გზით ვერ მოვიზოვრე ეს დაუპატრიცეველი სტუმარი. (მანდლად) ერთის თვით ჩამოესულყავ თბილისში და ცოცხამ პაირი გამოემყვალა, მაგრამ რადგანაც ეს ძალიან შორს წავიდოდა და დროც აღარ იყო, რომ ჩამოესულიყავი და (უკან) დავბრუნდებოდიც ეგზემენიებისათვის, ვარჩიე ოქტესში წასვლა ჩემს ძმასთან. და აი ოქტესის პატრია ვითომ ცოცხათი გამომაკეთა... უკაცრავად, რომ თავი მოვა-

<sup>1</sup> ნიკოლოზ ზებელისძეს ძე ცხევედაძე (1845—1911) იყო ქართველთა შორის წერაკითხვის გაავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის (ილია ჭავჭავაძის) მოადგილე.

ბეზრეთ... ნამდვილი საქმე კი ეხლა მინდა მოვასწავოთ. ის საქმე რაში (ა): შარშან მე რომ „გრამაფონის“ შეწყვეთი ჩაწერე რამდენიმე ხმა, ესე იგი (ჩაწერე) რა, მოგაძირო; წილს იმავე „გრამაფონის“ შეწყვეთი მისდა დავიარო ქართლი და იმერეთის მხარე. (ამისათვის) საჭირო იქნება აქ ახალი „ვალკიების“ შექმნა, არა ნაკლებ 50 მანძე. ერთი ათიოდე ვიდექ მანდ მეგულებმა გასასრულებელი. ეს თითქმის 70 ვალკი... ჯერჯერობით (საქმარისი იქნება) ამ ზახულზე. რაც შეეხება იმათ ყოვლად, ვთხოვთ, დროზე მომწეროთ და „ფსალმებით“ გამოვიგზავნი, ვეცდები იაფფასიანებით ვიყოლ, ესე იგი, რუსული ღაბრეკია (გამომცემელი). თუძე კი ამბობენ, ვითომ საზღვარ გარეთის უფრო სჯობოს, მაგრამ ჩემის აზრით, სულ ერთი უნდა იყოს... განსხვავება — იმათ შორის ძალიან ცოტა (ა). მე გრამაფონი უფრო იმისა ავიცი მინდა, რომ აქ არის „ენოგრაფიული საზოგადოება“, მინდა იქ ვიმძერო ვე სიმღერებს და გავაქნო ეს საზოგადოება ამ ჩვენს სიმღერებს (მომეტყველად) იმერეთ-გურულ ქოლოებს, რადგანაც აქ თითქმის სრულყოფილი არ იყვან და ხმები. მე და ბ. ხახანოვს ვინდობდა... ჯერ-თხზება თქვენთვის, ამ საბაბით გამოვიგზავნათ ევ ჩაწერაში ხმები „დემონსტრაციისათვის“ იმავე საზოგადოებაში, მაგრამ ამ ჩემმა უყვეფლობა ნება არ მომიცა ამესრულებია ეს მეტად სასარგებლო მიზანი. (ჩვენი სახალხო სიმღერები)... წარმოადგენს დიდს და მეტად დიდს ინტერესს როგორც... ქართველებისათვის, აგრეთვე რუსეთის და უცხო ქვეყნებისათვის, რადგან ამ საზოგადოებას აქვს მიზანი... ყოველი ეროვნების სახალხო სიმღერების (გაერყვება), ჩვენ რად უნდა ჩამოვრჩეთ...

...რაც შეეხება გზის ხარჯს, იმედი მაქვს, (ფულს) ამ საქმისათვის არ დაზოგავთ, მით მომეტყველო, (რომ) ამ წილს მე ვაპირებ უფრო მეტად ვიმუშაო. მუშა ხალხი... ზაფხულში თავის საქმეზე (მუშაობს) და დღური ფულს მოულობს, მე (მინდა) იმათ (დღურით) ფული აკადილო... რომ ამგვარად მომძღვრებ... მთელი დღი... (ჩემს განკარგულებაში იყვნენ) და არა ისე, რომ ჯერ დიდიდან დაიწყონ თვლება და მთელი მკერე ვაფუჭონ. არც მე მაქვს ნება... იმათ ძალა დაეძინა, რომ მიმღვრონ უეჭველად. როცა ფულის საქმე იქნება, მაშინ, ვარწმუნებთ, რომ საქმე წინ წავა... და როგორც მე მენდობება და შეეხედა უკეთ, ის მოვიტყვი. ამას მისთვისა ვგურთ, რომ შარშან მეტად შევიწროვებულა ვიყავი... ვთხოვთ, რომ ეს იქონიოთ მხედველობაში. (ამით) ორპირად მოვიგებთ: ერთი ის, რომ რაც ხმები ჩაიწერება, იქნება ცოლო-დაცული... მეორეც ის, რომ დრო ნახვედრად შემოიღდება, და ერისადაიმავეს გამოვრება ასეურ არ მოიხილება.

უკაცრავად, რომ თავი მოვაგებებოთ, ვთხოვთ ამის პასუხი არ დამიგებნათ, რადგანაც შემდეგში ეგზამენები დაიწერება და იქ მექნება მომეტყველ უფა.

თქვენ რომ არ შესწავლეთ, სჯობს ვადასცეთ თქვენი აზრი ბ. პეტრე მირიანაშვილს, და იმან შემატყობინოს პასუხი.

თქვენი ზაქ. ფალიაშვილი  
ქ. მოსკოვი 19-29/3-02 წ.  
სცსა ფონდი № 481, საქმე № 831, ფ. 35-37 1902 წ.

**წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა**

I  
გამგეობის მინდობილობით, ვადავთავალიერე ბ. ბ. არაყიშვილის<sup>3</sup> და ელიზბარაშვილის მიერ ხმაშეწყობილი ქართული სიმღერები.

2 აღქმანდრე ხახანიშვილი (1864 — 1912) ქართული სიცივე-რებისა და ლიტერატურული ენისა, არქეოლოგიის ცნობილი მკვლევარი, მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორი.

ჩემის აზრით, ბ. არაყიშვილის კრებულის ერთი ნაწილი... შედგენილი (ა) მოგვრებულად, ყმაველები-ათვის სასარგებლოდ. ამ პიროვე ხაწილს კუთვნიან შემდეგი ნომრები კრებულისა: მაგ. №№ 2, 4, 6, 7, 9, 13, 14, 16, 19, 21, 24 და 25. ამ ნომრებს მუსიკალური ნაწილი არა აქვთ და. დანარჩენი სიმღერები კი იმისათა უფრო მართადებისაგან არის შედგენილი, რომ არამც თუ ყმაწვილს, თითქმის მცოდნე და სმენაგასწილ მუსიკოსსაც და გაუხმელებდა მათი დასაზოგებდა. ამის მიზეზი ის არის, რომ ამ სიმღერაში ნათლად არ არის გამოთქმული შინაარსი პარამნიისა, რის გამოც ყმაწვილების დაინტერესება ამისთანა მელოდებით შეუძლებელი (ა). საერთოდ კი, კრებულს ტექსტა მუსიკოსი პედაგოგის ხელი და არა დიდებულისა.

ბ. ელიზბარაშვილის სიმღერებს კი აკლია ის, რაც საჭირო არის სამუსიკო პარამნიზაციისათვის. ნოტებზედაც ვადალებულია უთავბოლო... ერთი მათავანი კი № 5 „მრავალკანონი“, ჩემდა გასაყრდელად, რუსული ყაზახური და ჩვენი სიმარტონდ მელოდული სიმღერა და არა ქართული. კახური გრძელი „მრავალკანონი“ № 6 ბ. რატელსაც აქვს ვადალებული ნოტებზედა და დამეტძილი ბევრად უკეთესად, ვიდრე ელიზბარაშვილისა.

ზაქარია ფალიაშვილი  
1903 წ. გიორგინისთვის 14-ს  
ქ. თბილისი  
სცსა ფონდი № 481, საქმე № 908, ფ. 3. 1903.

I

ხელმოკლებონ გამო იძულებული ვარ მივმართო და ვთხოვო გამგეობას, რომ მან იყოსრის და გამოსცეს ეს ქართული „რომანსი“, ქართულ სახალხო პანსელ დაწერილი ჩემებში... ხელმოვრად შემოშავებული, ფორტპიანისს აკომპანემენტით თავად დიმ. თუშინიშვილის ლექსზედ, ზათარგმნი რუსულად ქნენა სოფთი ვასილის ასული ანბარაიბის მიერ. ამის შემახებ მე მიწერ-მოწერადა გმინდა მოსკოვის ნოტების გამომცემელ ფირ-მასთან. ბ. პეტრესთან, და როგორც ჩანს, 300 ეგზემპლარიის დაბეჭვდა დაჯდება არა უმეტეს 55-60 მან. ქ. ი. თითო ეგზემპლარი გამგეობას დაუჯდება 20 კაპი-კამდე, გასაყრდელ ფასი კი უნდა დაენიშნოს უქმეველად 10 კაპ. ისე, რომ 100 ეგზემპლარიც მათ გაიყიდოს (რისი დიდი იმედელია მაქვს, რადგანაც მთხოვნელი ბეგრნი არიან), იმ შემთხვევაში საზოგადოება არას ჰკარავებს: გამოსცემ ზარჯებს დაფარავს და დანარჩენი 200 ეგზე. მოგებად დარჩება.

ეს ის რომანსი არის, რომელიც შესარულა ბ. ევლან-ნიშვილმა ორკესტრის აკომპანემენტით ვაგლილი წილის 1903 წ. 18 დეკემბრის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ გამართულ კონცერტში.

ეს რომანსი უნდა დაიბეჭდოს უქმეველად ქართული და რუსული ტექსტით, რადგანაც ქართული სასიმღეროების გამოცემა რუსული ტექსტითაც ისეთივე აუცილებელი (ია) რუსეთში გასავრცელებლად, როგორც რუსული (სიმღერების) გერმანული და ფრანგული ტექსტით საზღვარგარეთ გასავრცელებლად.

3 ბ. ფალიაშვილის ამ რეკეზიის გამო საზოგადოების გამგეობას 1903 წ. 21 ნოემბრის დაუდგენია „დ. არაყიშვილის ნოტები დაიბეჭდოს“, ხოლო მის. ელიზბარაშვილის ნოტების გამო ნათქვამია: „გამგეობა ვერ ზედავს შესაძლებლს ელიზბარაშვილის ნოტების დაბეჭვებას“.

დ. არაყიშვილი ობეს გამგეობას, რათა მის სიმღერების კრებულს გამოეშალს: „პაათოროვი“, „სტრახანის გზაზე“ და „როგორც ჩემი ჩინებური“, რადგან სხვადასხვა მიზეზების გამო, მე არ მსურს, რომ მაკ კრებულში იყვეს დაბეჭდილი“.

იმიდ მაქვს, რომ გამგებობა უყურადღებოდ არ დასტოვებს ზემოხსენებულს ჩემს თხოვნას, და ამით ერთ ნაწარმოებს კიდევ შესძენს ისედაც დაჩაგრულს რეპერტუარს ქართული სამუსიკო ლიტერატურისას. ეს სიმღერა იქნება პირველი ცდა, როგორც სახალხო ჰანგი, ხელოვნურად შემუშავებული მუსიკალური ფორმით.<sup>4</sup>  
ზაქარია პეტრეს-მე ფალაშვილი

ქ. თბილისი  
1904 წ. თბათვე 26.

საქ. ცსსა ფ. 481, საქ. 985, ფ. 4. 1905 წ.

III

ვახლებ რა ამასთანავე გამგებობას ბ-ნ თამარაშვილის<sup>5</sup> მიერ შედგენილ სასკოლო სიმღერების კრებულს, პატივისცემით მოგახსენებთ, რომ თანახმად გამგებობის მიერ ჩემდამი მოწერილი ბარათისა (1915 წლის 8 ოქტომბრიდან № 547) ყურადღებით ვადაუთავალერე ბ-ნ თამარაშვილის ზემოხსენებული შრომა და დავრწმუნდი, რომ ბაჭყალითავე სმენის გასაჯარჯებლად და სისტემატიურად სიმღერის ვაკეითლებს საწარმოებლად. იგი ძალიან კარგად არის შედგენილი. სმენის სავარჯიშო ნიმუშებიც საკმარისად არის შიგ მოყვანილი. მხოლოდ ერთი ნაკლი ამ შრომისა, რომელსაც მე პირადად დიდს მნიშვნელობას ვაძლევ, იმას ვამოიხატებ, რომ თვით სიმღერები... მგლოიის მხრივ უღაზათო, მოუხეშავი და

ქართულ ელფერს არის მოკლებული, რის გამოც ადვილად შესაძლებელია, რომ მასწავლებელს გაუჭირდეს ამა თუ იმ სიმღერის არჩევა მოწაფეთა დასაინტერესებლად. მე არ მინდა ეს ჩემი აზრი ვისმეს თავზედ მოვახვიო, მხოლოდ უმჯობესი იქნებოდა, ერთი ნაწილი მაინც ამ სიმღერებისა შეცვლილი იყოს უფრო ლაზათიანი და ბაჭყალითავე სინანტურესო ნომრებით, რაიც არა ერთი და ორი მოიპოვება ქართული სახალხო სიმღერების რეპერტუარში. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ გზით მისი ღირსება ერთიორად უფრო მაღლა აიწევდა.  
ყოველ შემთხვევაში ბ-ნ თამარაშვილის შრომა, როგორც პირველი ცდა ამ დარგში, საინტერესოა, (მისაღება) სახელმძღვანელოდ პირველ-დაწყებითი და სოფლის სკოლებში სახმარებლად.<sup>6</sup>

ამასთანავე დიდს ბოდიშს მოვიხილ გამგებობის წინაშე პასუხის დაკავანებისათვის, მაგრამ ამის მიზეზი, როგორც თვით გამგებობას მოუხსენება, იყო ის უბედურება, რომელიც მე მეწვია გასული წლის ნოემბერში.<sup>7</sup>

პატივისცემით ზაქ. ფალაშვილი

1915 წ. 20 თებერვალი

ქ. თბილისი

საქ. ცსსა ფონდი № 481, საქმე № 6116, ფ. 20. 1914

<sup>4</sup> გასულ თამარაშვილი (1888—1957) იყო თელავის სასულიერო სასწავლებლის ქართული გალობის მასწავლებელი.

<sup>5</sup> ამის შემდეგ ვ. თამარაშვილის სასკოლო სიმღერების კრებული გადაეცა სარეცენზიოდ მუსიკოს ია კარგარეთს, რომლის რეცენზია ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის.

<sup>7</sup> ივლისსსენება ზაქარია ფალაშვილის ერთადერთი ვაჟის ირაკლის (1904—1915) გარდაცვალება.



ბ. თარგან-ჭორაჯი

# ელისაბედ ჩერქეზიშვილი

დავით ჩხეიძე



მერქეზიშვილები ანუ ჩერქეზანთა, როგორც ქართულად მეზობლები და ნაქნობ-მეგობრები იტყოდნენ ელისაბედ ჩერქეზიშვილის მშობლებზე, სოფელ კოშკაში ცხოვრობდნენ, ლიახვის ხეობაში. ელისაბედის მამა ალექსანდრე კარგად იცნობდა გორის იმდროინდელ ინტელიგენციას — მიშო ყიფიას, სოფრომ მვალბოლიშვილს, ნიკო ლომოურს, გაას, რომელიც შინ გაყვივდა ახალაზერებს, მაგრამ ყველაზე უფრო ახლო ურთიერთობა ანტონ ფურცელაქეთთან ჰქონდა.

ანტონმა მერქეთში ხილის დიდი ბაღები გააშენა, ევროპიან ჩამოტანა საუკეთესო ჯიშის ნერგები, დარგო და ნაშენის სადღეგებიდან ნერგს უხვად ურეგებდა ყველა მსურველს. ალექსანდრე ჩერქეზიშვილი სხვას როგორ ჩამორჩებოდა. გააშენა ბაღი. გაიხარა ბაღმა. ამ საქმეში მას პატარა ჭიკა გოგონა — ლიხიკოც ეხმარებოდა.

მამასაც ახარებს გოგონას ასეთი ინტერესი ცხოვრებისადმი და გულში ფიქრებს, საუკეთესო საქმრო მოუძებნოს, საკარო ოჯახში მოახვედროს ქალიშვილი.

მაგრამ გათხოვებამდე ჯერ შორს არის. ლიხიკოს ვერც კი წარმოუდგენია, რომ გათხოვებამ მთლად უნდა მოეცილოს მამის სახლი. განა უკეთესი ქვეყანა, ქალაქი თუ სოფელი კიდევ იქნება ცის ქვეშ, ვიდრე შობილური კოშკა? ლიხიკო ჩუმად გაუბარებდა მშობლებს, უმაღლე კოდლის კოშკზე აიბრუნა, მოთავალთვალე მეციხოვნესავით იდაყვით დაეკრძობა კონკრეტს, გასცეკვის ქართლის სახანებელს. ქრის მაღის მომავლეელი და ფილტვების გამაჯანსაღებელი მშრალი ნიაფი. ჩერქეზანთა სტუმრად მიდიან წვერისა და არაღეთს იშენდებიან. ლიხიკოს განსაკუთრებით უყვარს არაღეთი. აქ დიდი ციხე-კოშკია იმ უსახელო ფორისის პირას, რომელიც დანას, ნაქარკორს, ღირს და ბრვის ფერხით ჩაუვლის. არაღეთის გზაზეა აგრეთვე უწინისი და ბრვისის ფერხისცალგება. არაღეთის კოშკის მუშევრავალიდან კი მოსწინა გადას ზვედურეთი, ქარელი. საციკიანო, ტყით დაბურული მთები, ყინწისისი. მთავარანგელოსის ბრწყინვალე გუმბათი. საოცრება სამწვერისი, ხელთუქმნელი ძეგლი წირთი. ახლა ხალხს არ იციხიანთ? ყველას გული აქვს გასწილი სამასპინძლად. აგერ თონიდან ამოჰყარეს პურის შოთბი. მშვერვალე თონში ჩაბერტყეს საფენეიანი. პურის სუნი მოვლდ მოვლდ სოფელს, ოღონდ მიადი თონესთან და სინამოფენე; ოღონდ გადადი ბაღში, ჩაიტკბარუნე პირი შპქრინანი ყურძნით და აგლით, ვინ არის დაშშული!

არა, ამაზე უკეთესი ქვეყანა კიდევ სად იქნება. გარძობს ამას პატარა ლიხიკო და სადაც წააწყდება ქალღმერთს და წივანს, კითხულობს.

მშობლებსადაც ილვება ყრბობა და ქალიშვილობა. ლიხა უკვე გასათხოვარია.

ქართულ თეატრს მფარველობენ დიდი ილია, აკაკი და ნიკო ნიკოლაძე.

თეატრი მსახიობი ქალების ნაკლებობა განიცდის იმიტომ, რომ სცენაზე გამოსულ ქალს ნამუხსენ ზელაღებულ ქალად თვლის საზოგადოების რთი ნაწილი.

ლიხა არ შეუშინებია ამ მეშინების სისინს. ის გაბედულად გამოდის სცენაზე და სახსისათო როლებს ოსტატური შესრულებით მაცურებლის სიყვარულსა და მოწონების იმსახურებს.

საზოგადოების ერთი ნაწილი მტრულად იყო განწყო-

ბილი თეატრისადმი. გაიძახოდნენ: რა გამოსაჩენია სცენიდან ბედელდათობა, სიძულწუ და მოაშკივები! ამ მანკიერებისასგან ხალხი ისედაც საკმაოდ დაავადლებულია. იმის გაგება კი არ სურდათ, რომ თეატრი სწორედ ამ მანკიერებებს ააშკარავებდა, გმობდა მათ და საზოგადოების ზნეობრივად გაფაქიზების საქმეს ედგა სათავეში.

სამართლიანად შენიშნავდა იმდროინდელი გაზეთი „ობაიე“-ი: თბილისში სენივით იყო მოღებული „ღვისის სმა, ქალღმერთის თამაში. ქართული თეატრის დაფუძნების მსურველი ძალიან ცოტად იყო. მუდმივად სცენა თითქოს მოულოდნელად ამოძვროა მიწიდან“.

აი, ამ მუდმივი სცენის დაუღალავი მსახიობი გახდა ელისაბედ ჩერქეზიშვილი. ის თეატრს ვერ დაშოკებდა ვერატივობადა წინააღმდეგობამ და სიცოცხლის უკანასკნელ დღემამდე ემსახურებოდა მას.

მსახიობთა შორის იშვიათად მოიძებნებოდა მისეპრ მოქმედი და შრომისუნარიანი პიროვნება. არ იცოდა დალა, დაუზარებელიც იყო. ძალიან უყვარდა მოგზაურობა. ვერ აშინებდა ვერც ცუდი ამინდი, ვერც უგზობობა.

მეორედი ახირობებლობაც ახასიათებდა. არ წვეებოდა სხვის ლოგინში. ეს ზნე განსაკუთრებულად ურთულუნდა მოგზაურობის პირობებს. სხვები ჩაწვეებოდნენ ლოგინში. ელისაბედი კი მაკიდალზე ან საკამებზე მოეწყობოდა. დილით ჩრტივით აღრე მხარულად წამოდებებოდა. ყველას მოესწრებდა მორთავა-მოკამეზას და მიუეგებოდა, როგორც თვითონ ეძახდა, ქმეჭყა მასი.

მოგზაურობის დროს მსახიობებს ბევრი საინტერესო რამ გადახდებოდათ თავს. ერთხელ პატარა დასი შდგა. მან მიზნად დაიხასა წარმოდგენების გამართვა ღვისის სანაპირო ქალაქებში. პირველი წარმოდგენა სიხუმრო გიპართა, მეორე ორამირები; აქედან დასი ფოთში უნდა წასულიყო, მაგრამ მსახიობებმა გემს ვეღარ მიუსწრეს. წარმოდგენა ფოთში საღამოს რვა საათისათვის იყო დაწინაწულები. გადაწყდა სატვირთო გემით გამგზავრება. მზე ვარაჯრებდა ცაზე. ზღველი იშვიათი „შტილი“ იყო. ტალღის ნახსია არ ჩანდა. მსახიობები დასხდნენ გემბანზე. გემი შეცურდა ზღვაში. ძლივს მოჩანდა ნაპირები. გემი ნელა მიცურებდა. მსახიობებს შოთადა. ამის მიზეზი, ვარა იმისა, რომ წასაუღრები არ მოხერხდა, უფულობაც იყო. წარმოდგენა ფოთში საღამოს მთავისათვის იყო დაწინაწულები. უყველი მოიშინებდნენ მათი ღრუბული ამბობობდა. დაუებრ ქარმა, ზღვამ დღევა იწყო. მალე მზე მიეფარა ღრუბლებს და საშინელი ქექა-ქუხილი ატყდა. წამოვიდა წვიმა და რა წვიმა, ზღვის ტალღები ცუმი აცხდნენ.

ელისაბედი დადილიდა იყო. წამოწყვა ფიქრებზე. ზევიდან ბრუნებტი გადავაფარები. სიცივისაგან სულ ძაქაგებდა. მაგრამ ყველაფერს იტანდა, ხანდახან ბრუნებრის პირს აშვედა, გამოხედავდა, შემოავცინებდა. მერე ისევ დაფიქრებდა. მეზღვაურები, რომლებიც თაბისი საქმიო იყვნენ გადადილი, ბრუნებტ ქვეშ თავშფერებულ ელიამ ზედ ზარ დადილიდნენ.

— Не видите, здесь дама лежит! — მეზღვაურები ყურსას არ იბრტყავენ; რომელიდაც ხუმარა კი ამ სიტყვებით ეხმარებდა ელისაბედს: — Хороша дама в дожде на палубе под презентом. ავღარი თანდათან მკვარებდა. უღმობლად ასხამს წვიმა, მატულობს ქარი და პატარა გემს ტალღები თავის წე-

ბაზე აქანაგებენ. ღამის თორმეტ საათზე გემი, როგორც იქნა, მიაღება ნაპირს. წარმოდგენაზე ფიქრიც აღარ შეიძლება.

მსახიობები მიტოპავენ გუბებში. კვლავ გადაუღებლად წვიმს. ქალაქი კარგა მოშორებით არის. ეტლი არ იმოგება. მზელია. მსახიობები საზავზულო ტრასაცემლში არიან. არც ქალაქ აქვთ, არც კალთაში. ღამის 2 წინააღმდეგ ძლივს მიაღწიეს სასტუმრომდე, მაგრამ გამაქ წინააღმდეგია ასე უაქწულო სტუმრების შინ შეეგებნა. როგორც არის თანხმდება.

ყველაზე მძიმე ასატანი მიინვ შიშშილია. აბა, ღამის არ საათზე საღ წყალად, საღ სიხვი რასზე ერთი ღიზა არის, რომელიც ზედს არ უჩივის. სინის ჩემოდანს, იღებს იქიდან მომარაგებულ საგზალს—ბურის ნატყხს, ერთ ცალ კიტრს. ალაგებს მაგიდაზე და აცხადებს: „აქ მოწყენილსა სტუმარსა შინაც ნუ გაუხარია“-თ. ცხვირები რას ჩამოგოყროს, გაუფიქრდა, აბა ნახათ, როგორი მზე ამოვა. სასმელიც იქნება, სამკურნო, სისხარულიც და ბევრი სხვა რამეც.

შემდეგ ღიზა გვიამბობს:

ერთ ზაფხულს ჩემს კოფელ კოშკაში წავედი დასასვენებლად. დავისვენე კიდევ და რამდენიმე წარმოდგენაც გავმართე სოფლებში. როცა ყველაფერს მოგირი, ჩემს მენაღეს — თედოს ურემი შევაგამეივე და გორისაკენ გავემგზავრე. დღის შვიდ საათზე იქ მატარებელში უნდა ჩავმგდარაყვიე თბილისში წასასვლელად.

კოშკიდან გორამდე ბარემ 30 გირი იქნება. თელო ზის კოფორზე, მიგრეკება ხარებს, თან ურემულ დასაძახის. ტკბული სიღრისის მოსმენაში ჩამოვლია. ძილი მოგირია, მუთაქა მივიღე ჭაღებთან. მივემზადე დასაძინებლად. მოვიჩრე შემოთ ჩასმული წინა კბილების უღლი, სუფთა ხელსახოციც გავახვიე და მუთათის ქვეშ ამოვიდე. მივიღე თავი, მაგრამ სანახაობამ არ დამამიდა. თხუთმეტი დღის კაშკაშა მთავრე ამოსუთიყო ცის ტანებზე. საოცარი სიწრე იდგა. ნაყოფით მთლად დახუნძლილი ვაშლებს ტოტები მიწას წვედებოდნენ. გზის ნაპირებში მიჩრჩხულებდნენ რუები. აქ თედოც შედის ეშხში. ხმას უფრო უწყებს. მოსათვალავსც არ აკლებს ბგერებს, „აღუეჯანს წავალ მარილზე, მარილს მოვიტან ბროლსაო“.

ამ დროს რაღაც ჩხარული შემომესმა. ვინახე და მუთათის ქვეშ შედებული კბილები აღარსად არის. — თელო, შე ოჯახქორო, დააყენე ურემი, კბილები დაკარგე.

თელო ხარხარებს.

— ე, განა სულ უნდა იხუმროთ, ქალბატონო... კბილები პირში გაქვითო — და განაგრძობს სიმძროსო.

— ჯერ დედას გადავებევი მერე ცოლსა და შვილსაო...

— თელო, შე შეჩვენებულო, ვაწყვიტე ხმა, დააყენე ურემი ბოჭო, არ გესმის, კბილები დაკარგე მეოთქი..

— ე, ქალბატონო, იმ ცირკში აბა მეტს რას ისწავლიდი, თუ არა გვეთ უცნაურობას, — ამბობს ის და ხარხარებს.

სახრის ცემს, ურემი მიგრიალებს. ახლა გულმოსული ვეწირი:

— დააყენე ურემი, შე სასიყვლილე, შენა!..

ახლა ეკ იკადრა შეჩერება. ხარებს მე დავეუღექი წინ, მას ასანთი მივეცი და გავგზავნე დაკარგული კბილების საძებრად.

მაღე მობრუნდა.

გიოვე, ქალბატონო აბა, მაგრამ რად გინდა ტყუილი კბილები, არ ციცი.

გამოგართი, იქვე ჩაიხსია და შეეცინე.

— აბა, შე შეჩვენებულო, ახლაც არ გჯერა, რომ ჩასმულ კბილები მაქვს.

თელო შეხტა ურემის კოფორზე და უნდობლად ჩაილაპარაკა:

— ვითომ დამაჯერე, რადა, რომ კბილები ნათხოვარი

გაქვს. ვერ მომატყუებ, ვერა. ხელსახოცში, ალბათ, ფული გქონდა გამოკრული.

ამ სიტყვებით სახრე გადაკრა ხარებს და დაძრა ურემი. განთიადზე გორში შევედი. მეჯუღაში ამოვიბანე ხელიბრი. მერე გავესწიე სადგურზე და მალე თბილისში ვიყავი“.


ელისაბედი ერთი იმ მსახიობთაგანი იყო, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ქართველი ხალხის რასმასხურს შეაღია. მისი ნათელმოსილი სიცოცხლე და დღის ამაგი სათანადო შემფასებელს მოეღის. საერთოდ ქართულ თეატრს იგი 60 წელზე მეტხანს ემსახურა. აქედან საბჭოთა თეატრს — 27 წელი. ელისაბედი ჩერქეზიშვილმა ბეგერი დასამახსოვრებელი სახე შექმნა. დღევანდელი მისი როლების შემსრულებელი ქართულ თეატრს არ მოეპოვება.

1948 წლის 17 ოქტომბრის ღიზას პატრიარქმად საღამო გაიმართა ბოლნისში. წინააღმდეგ შეერთანხმდით, რომ ერთმანეთს შეეხედობდით დღის ცხრის ნახევარზე. ამ დროს გადიოდა ბოლნისისაკენ ავტობუსი.

ჩვეულებრივსებერ ღიზა ადრე გამოვიდა სახლიდან. სრულ მ საათზე იგი უკვე სადგურზე იყო. ცოტა მოგვიანებით მიეც მივედი. სადგურში ჩურჩულია, ვილაყას ეხვევიან გარს. ვფიქრობ, ნეტავი, რა მოხდა, და მეც მათ გურთოლები. ვხედავ ელისაბედი ვილაყ უცხო ქალს მიყენება. შემომხედა, მიცო, ორივე ხელი ჩემკენ გამოსწია, თითქოს მიხედავებოდა, მიშველეთ. მაშინვე მოვიყვანე ექიმი, რომელიც აქტი, სადგურის მერეც სათულზე ცხოვრობდა. მივიდა სასწრაფოდ დახმარება, მაგრამ ელისაბედი ჩერქეზიშვილისათვის ყველაფერი ამაო გამოდგა. საშუალოდ შეწყვიტა ფიქტი ამ დაუღატორობი, ბეგერი და დღის ამბების მომსწრელი საყვარელი მსახიობისა და ძვირფასი მეგობრის მაჯამ.

სცენა სპექტაკლიდან „ჯგერე დაიბოცნენ, მერე იქორწინეს“





თბილისის მოზარდ მაცურებელთა რესული სახელმწიფო თეატრის მსახიობი ნ. ჰანინა

# ხელოვნების ეთიკური დანიშნულების შესახებ

(წერილი მეორე)

გელა ბანძელაძე

ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი

**წებობრივი გაჯანსაღების ცნება და ხელოვნების როლი**



ოგორც წინა წერილში ვნახეთ, ესთეტიკური ტკბობის პროცესში ადამიანის ზნეობა ვითარდება გემოვნებასთან და გონებასთან ერთად. რა იგულისხმება ზნეობის ვახვითარების, ზნეობრივი გაჯანსაღების ცნებაში და როგორ ახერხებს ესთეტიკური ღირებულება ვითარე ღირებულებაში გადასვლას? ამ საკითხის გარკვევისათვის საჭიროა ზნეობის სტრუქტურის, მისი შემადგენელი ელემენტების ანალიზი, რამდენადაც პიროვნების საერთო ზნეობრივი გაჯანსაღებაში მიიღწევა ზნეობის ცალკეული ელემენტთა განვითარების გზით. ზნეობის ელემენტივე ხელოვნების შემოქმედებაც დიფერენცირებული ხასიათისაა.

